Hyundai Connected Mobility GmbH

შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ – HYUNDAI BLUELINK-ის და GENESIS-ის ავტომობილის შიდა დაკავშირებული სერვისები

HYUNDAI-ის და GENESIS-ის ბრენდის ავტომობილებისთვის
ვერსია: 2025 წლის 8 სექტემბერი
ცვლილებების ჩამონათვალი

- ეს შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ ვრცელდება Hyundai-ის და Genesisის ბრენდის ავტომობილებზე.
- 2025 წლის ოქტომბრიდან Genesis-ის დაკავშირებული სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს Hyundai Connected Mobility GmbH, Hyundai Motor Group-ის პარტნიორი კომპანია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ მონაცემთა მაკონტროლებლის და საკონტაქტო დეტალების შესაბამისი ცვლილებები პუნქტებში 2 და 3.
- განახლდა პუნქტი 4.1.2, მონაცემთა დამუშავების მიზნები. ეს ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის 12 სექტემბრიდან.
- განახლდა პუნქტი 4.2.2 **Hyundai/Genesis Live** და დაემატა ახალი Google Places POI ძიების და მონაცემთა დამატებითი გადაცემის ფუნქცია.
- დაემატა პუნქტი 6.2, პერსონალური მონაცემების გაზიარება თქვენი მოთხოვნით. ეს ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის 12 სექტემბრიდან.
- დაემატა პუნქტი 13, ავტორიზებული მომხმარებლის მონაცემების დამუშავება. ეს ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის 12 სექტემბრიდან.

1. რა არის კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინება?

კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების ("**შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ**") მიზანია თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ ინფორმირება Hyundai Bluelink Europe Services-ის ("**Bluelink**”) და Genesis Connected Services ("GCS") (ან, ერთობლიობაში, "სერვისები”) მიწოდებასთან დაკავშირებით ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით (ეს არის თქვენი ავტომობილის მთავარი მოწყობილობა).

კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება გამოიყენება ყოველთვის, როდესაც ისარგებლებთ სერვისებით თქვენი Hyundai-ის ან/და Genesis-ის ბრენდის ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში, რომლებიც ჩამოთვლილია მე 14 პუნქტში.

ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით თქვენს კონფიდენციალურობას და დავამუშავებთ მხოლოდ თქვენს პერსონალურ მონაცემებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონების შესაბამისად.

თქვენი პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავება, რომლებიც Hyundai/Genesis-ის შესაბამისი ანგარიშის რეგისტრაციას უკავშირდება (მათ შორის, ისეთი პერსონალური მონაცემების, როგორიცაა თქვენი სახელი, გვარი, ელ-ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი ან მობილური ტელეფონის ნომერი), კონფიდენციალურობის შესახებ ცალკე შეტყობინებას ექვემდებარება.

2. ვინ არის პასუხისმგებელი ჩემი მონაცემების დამუშავებაზე?

Hyundai Connected Mobility GmbH, რომლის რეგისტრაციის მისამართია Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, გერმანია (“HCM”), არის სერვისების პროვაიდერი და პასუხისმგებელია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, როგორც აღწერილია ამ შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ.

HCM მოიხსენიება, როგორც “ჩვენ”, “ჩვენი” ან “ჩვენს”.

თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება გამოვიყენოთ ქვემოთ აღწერილი მიზნებისთვის.

მე-6 ნაწილში ჩამოთვლილ კონკრეტულ სერვისებთან დაკავშირებით, ჩვენ ვიმოქმედებთ როგორც ერთობლივი მაკონტროლებელი Hyundai ჯგუფის აფილირებულ კომპანიებთან და/ან თქვენი შესყიდვის ქვეყანაში Hyundai-ის/Genesis-ის უფლებამოსილ დისტრიბუტორთან ერთად.

შეგიძლიათ მოიძიოთ შესაბამისი ერთობლივი მაკონტროლებლების სახელები და საკონტაქტო მონაცემები მე-14 პუნქტში.

ჩვენ და ერთობლივი მაკონტროლებელი ვდებთ შეთანხმებას, რომელიც პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს არეგულირებს.

მოთხოვნის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას ასეთი ხელშეკრულების შინაარსის შესახებ.

3. როგორ დავუკავშირდე მაკონტროლებელსა და მონაცემთა დაცვის ოფიცერს?

კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინების ან თქვენი რომელიმე უფლების გამოყენების თაობაზე შეკითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ HCM-ის მომხმარებელთა ქოლ-ცენტრს ტელეფონის

ნომერზე +49 69271472377. ასევე, შეგიძლიათ მისწეროთ HCM-ს ელ-ფოსტის მისამართზე support.bluelink@hyundai-europe.com (Hyundai-ს ავტომობილებისთვის) ან mygenesis@eu.genesis.com (Genesis-ის ავტომობილებისთვის).
გარდა ამისა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: HCM.dataprotection@hyundai-europe.com ან წერილობით:
Hyundai Connected Mobility GmbH
c/o მონაცემთა დაცვის ოფიცერი
Kaiserleipromenade 5

- 63067 Offenbach, გერმანია

4. რა კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება, რა მიზნით და რომელ სამართლებრივ საფუძვლზე?

4.1. ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება

4.1.1. სერვისების მიწოდება

ჩვენ ვაგროვებთ და ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვისებთან დაკავშირებით იმ ფარგლებში, რამდენადაც მათი შეგროვება და დამუშავება:

- აუცილებელია მომსახურების ხელშეკრულების დადების ან შესრულებისთვის (მუხ. 6 (1) ბ) GDPR),
- სადაც კანონით არის მოთხოვნილი (მუხ. 6 (1) გ) GDPR),
- სადაც ეფუძნება თქვენს თანხმობას (მუხ. 6 (1) ა) GDPR), ან
- სადაც აუცილებელია ჩვენი ან მესამე მხარეების კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR).

ყველა სერვისი შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი თქვენი კონკრეტული ავტომობილისთვის - ეს დამოკიდებულია თქვენი Hyundai-ის ან Genesis-ის ბრენდის ავტომობილის მოდელზე, საინფორმაციო-გასართობი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიაზე ან Bluelink-ის არჩეულ პაკეტზე (Hyundai-ს ფირმის ავტომობილებისთვის). ცალკეული სერვისების შესახებ დეტალებისთვის, გაეცანით შესაბამისი სერვისის აღწერას გამოყენების პირობებში - Hyundai Bluelink და Genesis ავტომობილის შიდა (In-Car) დაკავშირებული სერვისები.
ყველა (პერსონალური) მონაცემი, რომელიც აღწერილია 4.2 და 4.3 პუნქტებსა და მათ ქვეპუნქტებში, გროვდება პირდაპირ თქვენი ავტომობილიდან (მაგ.: მისი სენსორებიდან და დაკავშირებული აპლიკაციებიდან, რომლებიც ხელმისაწვდომია საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით) და დამუშავდება სერვისებთან დაკავშირებით.
4.2 და 4.3 პუნქტებსა და მათ ქვეპუნქტებში აღწერილი მონაცემები აუცილებელია სერვისების მიწოდებისთვის. ამ ინფორმაციის გარეშე სერვისები ვერ შესრულდება.
გარდა ამისა, ჩვენ დამატებით დავამუშავებთ თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN), სერვისების კატეგორიებს, რომლებიც გააქტიურეთ და თავდაპირველი აქტივაციის თარიღს. სამართლებრივი საფუძველს წარმოადგენს მუხლი 6 (1) ბ) GDPR (ხელშეკრულების დადება და ჩვენი სერვისების შესრულება).

4.1.2. სხვა მიზნებისთვის დამუშავება

სერვისების მიწოდების გარდა, ჩვენ ასევე დავამუშავებთ თქვენს პირად მონაცემებს სხვა მიზნებისთვის, როგორც ქვემოთ არის დეტალურად აღწერილი.

- **პროდუქტების გაუმჯობესება / განვითარება:** თუ თანახმა ხართ, ჩვენ გავაანალიზებთ და კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ სერვისებს, რათა შევიმუშავოთ გადაადგილებასთან დაკავშირებული ახალი პროდუქტები ან/და სერვისები, გავზარდოთ ჩვენი პროდუქტების უსაფრთხოება ან/და გავაუმჯობესოთ ჩვენი სერვისები.

ამ მიზნებისთვის, ჩვენ ავტომატურად გავაანალიზებთ სერვისების მიწოდების დროს შეგროვებულ მონაცემებს, სტატისტიკურ და მათემატიკურ მოდელებზე დაყრდნობით, გაუმჯობესების შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით, თუ გააქტიურებული გაქვთ ყველა სერვისი ან თქვენს საინფორმაციო-გასართობი სისტემის კონფიდენციალურობის პარამეტრებში აირჩიეთ სერვისის კატეგორია "პროდუქტის/სერვისის გაუმჯობესება". დამატებითი დეტალები ხელმისაწვდომია 4.3 პუნქტში.
მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მუხ. 6 (1) ვ) GDPR (HCM-ის და Hyundai-ის/Genesis-ის Distributor-ის კანონიერი ინტერესები თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის, ჩვენი სერვისების განვითარების და გაუმჯობესების მიზნით).

- **პროდუქტების მონიტორინგი / პროდუქტზე პასუხისმგებლობა:** ამ შემთხვევაში, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ ჩვენი პროდუქტების მონიტორინგის, IT უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების უზრუნველყოფის ან ჩვენი თუ მესამე მხარეების დაცვის მიზნით, პროდუქტზე

პასუხისმგებლობის და სხვა სამართლებრივი დავებისგან, რომლებიც ჩვენს პროდუქტებსა და სერვისებზე წარმოიშობა.

რამდენადაც ასეთი დამუშავება კანონით არ მოითხოვება (მუხ. 6 (1) გ) GDPR), ნებისმიერი ასეთი დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მუხ. 6 (1) ვ) GDPR (HCM-ის და Hyundai-ის/Genesis-ის Distributor-ის კანონიერი ინტერესი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის, ზემოთ მითითებული მიზნებისთვის).

- **სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება:** თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ სხვადასხვა სამართლებრივი ვალდებულებების, კერძოდ, ავტომობილის მწარმოებლების მოქმედი კანონების შესასრულებლად (მუხლი 6 (1) გ) GDPR). ასეთი ვალდებულებების მაგალითებია:
  - ავტომობილში გარკვეული ფუნქციონალების უზრუნველყოფა, როგორიცაა „eCall“, 2015/758 (EU) რეგულაციის შესაბამისად,
  - გარკვეული ინფორმაციის (რაც დაკავშირებულია სიჩქარის დამხმარე ჭკვიანი სისტემების - ISA, მძღოლის კონტროლის დამხმარე სისტემების - DCAS და ა.შ. ფუნქციონირებასთან) გადაცემა შესაბამისი ეროვნული ან/და ევროპის ხელისუფლების ორგანოებისთვის, 2019/2144 (EU) რეგულაციის საფუძველზე;
  - სასამართლოების ან სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, მოქმედი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.
- **სხვა მიზნები:** ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვა მიზნებისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით მოითხოვება (მუხ. 6 (1) (გ), GDPR), თუ თანხმობა განაცხადეთ შესაბამის დამუშავებაზე (მუხ. 6 (1) (ა), GDPR) ან მონაცემების დამუშავება კანონიერია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ მონაცემების დამუშავება სხვა მიზნებისთვის ხორციელდება, HCM ან/და Hyundai/Genesis Distributor, საჭიროების შემთხვევაში, მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას.

აგრეგირებული მონაცემების დამუშავება

ჩვენ შესაძლოა გავაერთიანოთ კონფიდენციალურობის შეტყობინებაში აღწერილი წესით შეგროვებული მონაცემები იმგვარად, რომ აღარ იყოს შესაძლებელი ასეთი მონაცემების თქვენზე ან თქვენს სატრანსპორტო საშუალებაზე მიკუთვნება და მონაცემები აღარ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემებად.

ასეთ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დავამუშაოთ ასეთი არაპერსონალური მონაცემები ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისთვის და გამოვიყენოთ სხვა კანონიერი ეკონომიკური საქმიანობისთვის უშუალოდ ჩვენ ან გარე პარტნიორებთან ერთად. ნებისმიერი გაზიარება გარე პარტნიორებთან შემოიფარგლება აგრეგირებული მონაცემებით, მითითებული მიზნებისთვის გამოსაყენებლად და ექვემდებარება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის პირობებს.

მონაცემთა აგრეგირების (პერსონალური ინფორმაციის წაშლის) კანონიერი საფუძველია GDPR-ის მე-6 მუხლის (1) „ვ“ პუნქტი (Hyundai-ს და Hyundai-ს დისტრიბუტორის კანონიერი ინტერესები, დაამუშაონ პერსონალური მონაცემებიდან წარმოებული აგრეგირებული მონაცემები ჩვენი სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების, ან ბიზნეს ანალიტიკის და მსგავსი მიზნებისთვის, ზოგადი სამეწარმეო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად).

4.1.3. ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობა

არც HCM და არც Hyundai/Genesis Distributor არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების ავტომატიზებულ მიღებაში, სერვისებთან დაკავშირებით პროფილირების ჩათვლით, თუ ამის შესახებ საგანგებოდ სხვა საშუალებებით არ მიგიღიათ შეტყობინება.

4.2. სერვისების მიწოდება – ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემა

4.2.1. კონფიდენციალურობის პარამეტრები

თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემის კონფიდენციალურობის პარამეტრებში შეგიძლიათ, ნებისმიერ მომენტში, გააქტიუროთ ავტომობილის ყვეალ შიდა სერვისი, აირჩიოთ სერვისების მხოლოდ გარკვეული კატეგორიები, ან ჩართოთ ხაზგარეშე (offline) რეჟიმი. ჩვენ დავამუშავებთ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც თქვენს მიერ არჩეული სერვისების მიწოდებისთვის არის აუცილებელი, ქვემოთ მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, .

4.2.2. Hyundai/Genesis Live (საფირმო სამაგრები (pins) და ავტომობილის შიდა შეთავაზებები მხოლოდ Hyundai-ს ბრენდის ავტომობილებისთვის)

Hyundai/Genesis Live შემდეგ ფუნქციებზე წვდომის საშუალებას გაძლევთ:

- საგზაო მოძრაობა Live რეჟიმში: ინფორმაცია Live რეჟიმში საგზაო მოძრაობის შესახებ მარშრუტების გამოსათვლელად, მათ შორის, ადგილზე ჩასვლის ზუსტი დროის და სატრანსპორტო მოძრაობასთან დაკავშირებული სიტუაციის ჩვენება, თქვენი მიმდინარე მდებარეობის საფუძველზე
- პარკირება Live რეჟიმში: ქუჩაში და ავტოსადგომზე პარკირება, მიმდინარე ადგილმდებარეობის, დანიშნულების ადგილის და გადაადგილების (scroll) ნიშნის მახლობლად

- საწვავგასამართი სადგურები Live რეჟიმში: ინფორმაცია ახლომდებარე ავტოგასამართი სადგურების და საწვავის ფასების შესახებ, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- ელექტროავტომობილების POI (ინტერესის პუნქტი) Live რეჟიმში (მხოლოდ ელექტრო ავტომობილებისა და plug-in ჰიბრიდული ელექტრო ავტომობილებისთვის): ინფორმაცია ახლომდებარე დასამუხტი სადგურების შესახებ, მათ შორის, ხელმისაწვდომობის სტატუსი და დამტენის ტიპი, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- ამინდი: ინფორმაცია ამინდის შესახებ, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით
- Hyundai & Genesis სერვისი: ინფორმაცია Hyundai-ს ახლომდებარე დილერების ან მომსახურების ადგილების შესახებ, თქვენი მიმდინარე მდებარეობის მიხედვით
- ინტერესის პუნქტი (POI) Live რეჟიმში და უფასო live ტექსტური ძიება: ინფორმაცია ახლომდებარე POI-ების შესახებ, თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით, მათ შორის, საფირმო სამაგრები (pins) და გაფართოებული ძიება ავტომობილის შიდა (in-car) შეთავაზებებით, რაც საშუალებას გაძლევთ, ისარგებლოთ მესამე მხარის გამყიდველის აქციებით, POI-ს სხვადასხვა კატეგორიებში
- Google Places-ში POI-ს ძიება: დეტალური ინფორმაცია Live რეჟიმში ადგილმდებარეობების შესახებ, ერთ-ერთი უდიდესი მონაცემთა ბაზიდან, ტექსტის უფასო ძიების და ავტომატური შევსების ფუნქციების ჩათვლით.
- კამერის / სახიფათო ზონის გაფრთხილებები (თუ კანონით დასაშვებია თქვენს ქვეყანაში): სისტემა გიგზავნით გაფრთხილებებს იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით ხშირია უბედური შემთხვევები და გაფრთხილებთ მაღალი ავარიულობის ან სიჩქარის კამერების შესახებ.
- სპორტული ლიგა: ინფორმაცია ბოლოდროინდელი სპორტული ღონისძიებების შედეგების შესახებ

Hyundai/Genesis Live რეჟიმში სერვისის მიწოდება მოითხოვს თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომრის (VIN), გეოლოკაციის მონაცემების (მაგ.: GPS კოორდინატები live რეჟიმში საგზაო მოძრაობის შესახებ ინფორმაციისთვის), თქვენი ავტომობილის SIM ბარათის ინტეგრირებული სისტემური იდენტიფიკატორის (ICCID) და თითოეული ტრანზაქციისთვის უნიკალური მოთხოვნის ID-ის შეგროვებას და დამუშავებას.
Live რეჟიმში POI-ებთან დაკავშირებით, რომლებიც მესამე მხარის სარეკლამო კონტენტს შეიცავს, შესაძლოა საჭირო იყოს შემდეგი მონაცემების გადაცემა ჩვენს სერვის პროვაიდერთან (4.screen GmbH, Sailerstraße 17, 80809 Munich, გერმანია), რათა მოგაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად: სავარაუდო საძიებო არეალი, ძიების პირობები, ძიების (POI) კატეგორია, მოწყობილობის ID, მოწყობილობის სავარაუდო ადგილმდებარეობა, მთავარი მოწყობილობის ენა და თაობა, ავტომობილის ბრენდი, ძრავის ტიპი (მაგ.: EV ან ბენზინზე), ავტომობილის კლასი (მაგ.: პატარა, SUV), ავტომობილის წარმოების წელი და წარმოების ქვეყანა.
გარდა ამისა, შესაბამისი ინფორმაციის და შეთავაზებების მიწოდების შედეგად, შეიქმნება შეთავაზების უნიკალური ID. შეთავაზების ეს ID ასევე გადაეცემა ჩვენს სერვის პროვაიდერს აქტივობის (მაგ.: ნაჩვენებია, დაწკაპუნებულია, დაწყებულია ნავიგაცია) და ეკრანის ტიპთან (მაგ.: მთავარი მოწყობილობა, აპლიკაცია), ასევე დროის ნიშნულთან ერთად, როდესაც მოხდა შეთავაზება, ინვოისის გაცემის დასადასტურებლად.
თუ გარკვეულ POI-ზე მიხვალთ და ავტომობილს სადგომზე დააყენებთ, ამასთან დაკავშირებულ მონაცემებს ჩვენს სერვისის მიმწოდებელს გადავცემთ, რათა მან მესამე მხარის კონტენტის ეფექტურობის შეფასება და შემოთავაზებული სერვისების გაუმჯობესება შეძლოს: პარკირების GPS პოზიცია გრძედით/განედით, მძიმის შემდეგ 4 ციფრზე მეტის მითითებით (მდებარეობის ზუსტი მონაცემების გარეშე) და პარკირების დღე (ზუსტი დროის ნიშნულის გარეშე), მოწყობილობის ID-სთან და შეთავაზების ID-სთან ერთად.
Google Places-ში POI ძებნის (Google Places POI Search) ფუნქციის მიწოდებასთან დაკავშირებით, ჩვენ ასევე შეიძლება დავამუშავოთ: GPS ადგილმდებარეობის მონაცემები, მთავარი მოწყობილობის ენა, ძიების პირობა, ძრავის ტიპი და მოწყობილობის ID.
ასევე, თუ შეთავაზებები და ინფორმაცია ავტომობილიდან პირდაპირ Bluelink-ის აპლიკაციაში იგზავნება push-შეტყობინების სახით, ჩვენ დამატებით დავამუშავებთ თქვენი მომხმარებლის პროფილის ID-ს, მაგ,: თქვენს ელ-ფოსტის მისამართს.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხ. 6 (1) ბ) GDPR).

4.2.3. ხმის ამოცნობა

ხმის ამოცნობის ფუნქცია საშუალებას გაძლევთ ხმოვანი ბრძანებები გამოიყენოთ საინფორმაციო-გასართობ სისტემაზე წვდომისა და კონტროლისთვის, ასევე შეადგინოთ და გააგზავნოთ ტექსტური შეტყობინებები დაკავშირებული მობილური მოწყობილობის მეშვეობით.
ამ ფუნქციისთვის, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება და იგზავნება ჩვენს Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში: ხმის ჩანაწერი, გეოლოკაციის მონაცემები (GPS კოორდინატები), ინტერესის პუნქტი (POI) და Cerence-ს მომხმარებლის ID.
ეს უკანასკნელი არის უნიკალური ID რეგისტრაციისთვის Cerence GmbH-ის სერვერზე (Aachen, გერმანია), რომელიც ჩვენს მონაცემებს ამუშავებს ამ კონკრეტული სერვისებისთვის.

არ არსებობს კავშირი Cerence-ს მომხმარებლის ID-სა და ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN) ან სხვა იდენტიფიკატორებს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ Cerence GmbH-ს არ შეუძლია ფიზიკური იდენტიფიცირება მისთვის გადაცემული მონაცემების გამოყენებით.
ავტომობილის დაქოქვასთან ერთად, აქტიურდება ხმის ამოცნობის ფუნქცია ონლაინ რეჟიმში წინასწარ დაყენებული პარამეტრებით. თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხ. 6 (1) ბ) GDPR).
როდესაც იყენებთ ონლაინ ხმის ამოცნობას, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენს Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში ვამუშავებთ.
გარდა ამისა, თქვენი ხმის ნიმუშებს და GPS კოორდინატებს ვაგროვებთ და ვინახავთ 90 დღემდე ვადით, ხმის ამოცნობის სერვისის განხორციელების და გაუმჯობესებისთვის.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით (მუხ. 6 (1) ბ) GDPR), ასევე სერვისების გასაუმჯობესებლად შესაბამისი კანონიერი ინტერესების საფუძველზე (მუხ. 6 (1) ვ) GDPR).
როდესაც ონლაინ ხმის ამოცნობის ფუნქციას იყენებთ, თქვენი ხმის ნიმუშები და GPS კოორდინატები მუშავდება ჩვენი სერვისის პროვაიდერის Cerence GmbH-ის (Aachen, გერმანია) (მონაცემთა დამმუშავებელი) და მისი ქვე-დამმუშავებლების მიერ, რომლებიც შეიძლება იმყოფებოდნენ ევროკავშირის/EEA-ს ფარგლებს გარეთ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვის ადეკვატურ დონეს.
თქვენ შეგიძლიათ, გამორთოთ ხმის ამოცნობის ონლაინ ფუნქცია და ისარგებლოდ შესაბამისი ხმის ამოცნობის სერვისებით ხაზგარეშე (offline) რეჟიმში, რა დროსაც მონაცემები თქვენი ავტომობილის ფარგლებს გარეთ არ გადაიცემა.
თუ არ გსურთ, რომ დავამუშავოთ თქვენი ხმის ნიმუშები და GPS კოორდინატები, შეგიძლიათ გამოიყენოთ ხაზგარეშე (offline) ხმის ამოცნობა, რომელიც არ იყენებს თქვენი ხმის ნიმუშებს და GPS კოორდინატებს ხმის ამოცნობის სერვისის გაუმჯობესების მიზნით.

4.2.4. ავტომობილის დიაგნოსტიკა

ავტომობილის დიაგნოსტიკა აგროვებს უწესივრობის აქტიურ კოდებს (trouble codes) (მაგ.: ავტომობილის შეცდომის მანიშნებელი შეტყობინებები) ყველა მართვის ბლოკიდან, რომელიც ინტეგრირებულია თქვენს ავტომობილში საიდენტიფიკაციო ნომერთან (VIN) ერთად.
უწესივრობის აქტიური კოდები და VIN გაიგზავნება ჩვენს სერვერზე შემდგომი ანალიზისთვის.
საინფორმაციო-გასართობი სისტემის ავტომობილის დიაგნოსტიკის პუნქტში შეგიძლიათ იხილოთ თქვენი ავტომობილის ყველა აქტიური პრობლემური კოდი.
ამ ინფორმაციას ვიყენებთ იმისთვის, რომ გაცნობოთ თქვენი ავტომობილის რაიმე პრობლემის შესახებ.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავეთ ავტომობილის დიაგნოსტიკისთვის ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით (მუხ. 6 (1) ბ) GDPR).
რამდენადაც ამის გაკეთება კანონით მოგვეთხოვება, ჩვენ დავამუშავებთ თქვენს ზემოხსენებულ პერსონალურ მონაცემებს პროდუქტების მონიტორინგის მიზნით და პროდუქტების უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის შესაბამისად (მუხ. 6 (1) (გ), GDPR).
ინფორმაციის მისაღებად ზემოთ მითითებული მონაცემების დამუშავების შესახებ, პროდუქტების გაუმჯობესების და განვითარების მიზნით, ასევე, იხილეთ პუნქტი 4.3 ქვემოთ.

4.2.5. დაკავშირებული მარშრუტის განსაზღვრა

დაკავშირებული მარშრუტის განსაზღვრა უფრო ზუსტი პროგნოზის, ჩასვლის დროის უფრო ზუსტად განსაზღვრის და და მარშრუტის უფრო საიმედო ხელახალი გამოთვლის საშუალებას იძლევა, მონაცემების ჩვენს Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში დამატებით დამუშავების გზით, თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემის გარდა.
ამ ფუნქციისთვის, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება და იგზავნება ჩვენს Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში: თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), გეოლოკაციის მონაცემები (GPS კოორდინატები) და ნავიგაციის მონაცემები (მაგ.: რეალურ დროში საგზაო მოძრაობა; საგზაო მოძრაობის შესახებ ინფორმაციის ნიმუში)
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხ. 6 (1) ბ) GDPR).

4.2.6. რჩეული მარშრუტი

რჩეული მარშრუტი საშუალებას გაძლევთ შეადაროთ თქვენი ხშირად გავლილი მარშრუტები კონკრეტულ საწყის პუნქტსა და დანიშნულების ადგილს შორის, რათა მარშრუტის ისეთი გაანგარიშება შემოგთავაზოთ, რომელიც თქვენს სასურველ პარამეტრებს შეესაბამება.
ამ ფუნქციისთვის, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება და იგზავნება ჩვენს Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში: თქვენი ავტომობილის SIM-ბარათი (ICCID) და ხშირად გავლილი მარშრუტები, დანიშნულების ადგილის ინფორმაციის და მარშრუტის რეალური მონაცემების ჩათვლით.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხ. 6 (1) ბ) GDPR).

4.2.7. მარშრუტით კმაყოფილება

საინფორმაციო-გასართობ სისტემაში შესაძლოა გთხოვოთ უკუკავშირის გამოგზავნა, რათა შევაფასოთ თქვენი კმაყოფილების დონე ჩვენი რეკომენდაციების და მდებარეობის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.
ამ ფუნქციისთვის ჩვენ ვამუშავებთ იმავე კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, როგორც მითითებულია 4.3.1. პუნქტში, ასევე თქვენი კმაყოფილების შეფასების ქულას.
ამ მიზნებისთვის თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩვენი კანონიერი ინტერესი სერვისების გაუმჯობესებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR).

4.2.8. გადაუდებელი დახმარების ავტომობილის მოახლოვება

მთავარ მოწყობილობაში შეტყობინების მისაღებად, როდესაც გიახლოვდებათ გადაუდებელი დახმარების ავტომობილი, მაგ.: სასწრაფო დახმარების მანქანა, შემდეგი კატეგორიის მონაცემები მუშავდება: საკონტაქტო მონაცემები, ავტომობილის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობის და მოძრაობის მონაცემები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები, ტექნიკური მონაცემები, საგზაო მოძრაობის შესახებ მიმდინარე ინფორმაცია
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხ. 6 (1) ბ) GDPR).

4.2.9. მომხმარებლის პროფილი

მომხმარებლის პროფილი საშუალებას გაძლევთ, შექმნათ თქვენი პროფილის სარეზერვო ასლები, ავტომობილის პარამეტრების ჩათვლით და გამოიყენოთ ისინი სხვადასხვა ავტომობილებში. თუ ორი ან მეტი მძღოლი იყენებს ერთსა და იმავე ავტომობილს, მაგრამ განსხვავებულ პარამეტრებს ამჯობინებს (მაგ.: სავარძლის პოზიცია, აუდიო ან რუკის ხედვა, სხვ.), შესაძლებელია ინდივიდუალური პარამეტრების შენახვა ორი მომხმარებლის და ერთი სტუმრის პროფილში თითოეულ ავტომობილზე.
თითოეული მომხმარებლის პროფილისთვის, ჩვენს ღრუბლოვან გარემოში მუშავდება და იგზავნება შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები: ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) და მონაცემების მიმღები ავტომობილის VIN (ასეთის შემთხვევაში), მძღოლის ნომერი, მომხმარებლის ანგარიშის ნომერი, ტელეფონის ნომერი, მომხმარებლის სურათი, პროფილის მონაცემები, ასევე, სატელეფონო კავშირი, თარიღის/დროის პარამეტრები, ზოგადი პარამეტრები, ხმის პარამეტრები, ეკრანის პარამეტრები, ხმის ამოცნობის პარამეტრები, რადიოს პარამეტრები, ავტომობილის პარამეტრები, ნავიგაციის პარამეტრები და ინტერესის პუნქტები (POI).
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხლი 6 (1) ბ) GDPR).

4.2.10. თითის ანაბეჭდით იდენტიფიკაცია (მხოლოდ Genesis-ის ბრენდის ავტომობილებისთვის)

GCS მომხმარებლის პროფილი საშუალებას გაძლევთ, დააყენოთ თითის ანაბეჭდით იდენტიფიკაცია თითოეული მომხმარებლის პროფილისთვის. თქვენი თითის ანაბეჭდის დაყენებით შეგიძლიათ გამოიყენოთ თითის ანაბეჭდით იდენტიფიკაცია პაროლის ნაცვლად ისეთი ფუნქციებისთვის, როგორიცაა ავტომობილის დაქოქვა, თქვენი პროფილის გახსნა და ვალეტ რეჟიმიდან გამოსვლა.
თითოეული მომხმარებლის პროფილისთვის მუშავდება შემდეგი პირადი მონაცემები ავტომობილში: თითის ანაბეჭდი, თითის ანაბეჭდის მონაცემებისგან შექმნილი თითის ანაბეჭდის პროფილი. ეს უკანასკნელი ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორია, რომელიც არ უკავშირდება ფიზიკურ პირს და საგანგებოდ დაშიფრულია.
ინფორმაცია თითის ანაბეჭდის შესახებ მუშავდება მხოლოდ ადგილობრივად, ავტომობილში და ინახება დაშიფრული ფორმით.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ თქვენი თანხმობის საფუძველზე (მუხ. 6 (1) ა) და მუხ. 9 (2) ა) GDPR). შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმოთ თანხმობა თქვენი თითის ანაბეჭდის მონაცემების პირდაპირ ავტომობილში წაშლის გზით. თითის ანაბეჭდის მონაცემები დაუყოვნებლის წაიშლება ავტომობილის მეხსიერებიდან, სადაც ის უსაფრთხოდ ინახება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს არ იქონიებს გავლენას მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე, რომელიც თანხმობის საფუძველზე, მის გაუქმებამდე განხორციელდა.

4.2.11. OTA (საეთერო გზით) განახლებები

OTA განახლებები საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ უსადენო პროგრამული უზრუნველყოფის (“over-the-air”) განახლებები (“OTA განახლებები”) ავტომობილის სისტემის, ასევე, რუკის და საინფორმაციო-გასართობი სისტემისთვის.
თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემა რეგულარულად შეამოწმებს პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსიების ხელმისაწვდომობას და ავტომატურად ჩამოტვირთავს ნებისმიერ ხელმისაწვდომ მოდიფიკაციას თქვენს ავტომობილში და მოამზადებს შესაბამის ინსტალაციას.
შეგიძლიათ აირჩიოთ, OTA განახლების დასრულება ახლა გსურთ თუ მოგვიანებით.
შეგიძლიათ გამორთოთ ეს ფუნქცია საინფორმაციო-გასართობ სისტემაში შესაბამისი ღიკალის გამორთვით (“პარამეტრები” -> “Bluelink/Genesis Connected Services”-> “კონფიდენციალურობის პარამეტრები”).
ასევე, შეგიძლიათ გამორთოთ კავშირი თქვენს ავტომობილში საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით (“პარამეტრები” -> ”Bluelink/Genesis Connected Services” -> ”Bluelink/Genesis Connected Services”).

თუმცა, თუ გამორთავთ OTA განახლებებს, თქვენმა ავტომობილმა ან მოწოდებულმა სერვისებმა (როგორიცაა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისტემები, საინფორმაციო-გასართობი სისტემა, Bluelink/GCS) არ იმუშაოს სათანადოდ.

4.2.11.1. ავტომობილის სისტემის OTA პროგრამული განახლებები

ჩვენ შესაძლოა მოგაწოდოთ OTA განახლებები ავტომობილის სისტემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მიზეზის და მიზნებისთვის, კერძოდ, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ხარვეზის გამოსასწორებლად, მწარმოებლის გარანტიის ფარგლებში ან სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მიზეზებისთვის.
ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ ავტომობილის სისტემასთან დაკავშირებული OTA განახლებების ეფექტურ დაყენებას და მონიტორინგს.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება და იგზავნება ჩვენს GCS ღრუბლოვან გარემოში: თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), გამოყენების ისტორია (OTA განახლებები), დიაგნოსტიკის ინფორმაცია (შეცდომის კოდები, OTA შედეგი, ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის შესახებ) (ელექტრონული მართვის ბლოკი).
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ავტომობილის მწარმოებლის სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების მიზნით ვამუშავებთ (მუხ. 6 (1) გ) GDPR (მაგ.: პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნების სფეროში)), ასევე ჩვენი სერვისების განხორციელებისა (მუხ. 6 (1) ბ) GDPR) და ჩვენი კანონიერი ინტერესის საფუძველზე, OTA განახლების პროცესის ეფექტურად მართვისთვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR).

4.2.11.2. რუკები და საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA პროგრამული განახლება

რუკების და საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლებები საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ უახლესი რუკები და საინფორმაციო-გასართობი პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები თქვენი ავტომობილისთვის.
ამ ფუნქციისთვის, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება და იგზავნება GCS ღრუბლოვან გარემოში: თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), მთავარი მოწყობილობის მწარმოებელი, მთავარი მოწყობილობის მოდელი, მთავარი მოწყობილობის ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია, მთავარი მოწყობილობის სისტემის ვერსია, მობილური ქსელის ოპერატორი, ავტომობილის მოდელის სახელწოდება, ავტომობილის მოდელის გამოშვების წელი, ავტომობილის რეგიონი და თქვენს მიერ არჩეული ენა.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხლი 6 (1) ბ) GDPR).

4.2.12. შეტყობინებების ცენტრი

შეტყობინებების ცენტრის საშუალებით შეგვიძლია გამოგიგზავნოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენი ავტომობილის შესახებ.
ამ სერვისს მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის გამოვიყენებთ. ინფორმაცია გამოჩნდენა თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში ამომხტარი (pop-up) ფანჯრის სახით.
ამ ფუნქციისთვის მუშავდება შემდეგი კატეგორიის პირადი მონაცემები: წაკითხვის სტატუსი; წაკითხვის დრო.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხლი 6 (1) ბ) GDPR).

4.2.13. კალენდარი

კალენდარი საშუალებას გაძლევთ, თქვენს Google ან Apple კალენდარს თქვენს სმარტფონზე სინქრონიზაცია გაუკეთოთ ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის ინტეგრირებული კალენდრის ფუნქციასთან, ნავიგაციის დანიშნულების ადგილის დასაყენებლად.
ამ ფუნქციისთვის, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება და იგზავნება ჩვენს Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში: ელ-ფოსტის მისამართი, კალენდრის ID, ტელეფონის ნომერი, Google ტოკენი/iCloud-ის პაროლი და კალენდრის ჩანაწერები (მაგ.: განრიგის სათაური, თარიღი/დრო, მისამართი, მემო, დასწრება და სხვ.).
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხლი 6 (1) ბ) GDPR).

4.2.14. მოწონების (‘Like’) ფუნქცია

USB-ის და Bluetooth-ის მეშვეობით მუსიკის და რადიოსთვის მოწონების ("Like") ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, შეარჩიოთ და შექმნათ დასაკრავი სიმღერების ნუსხა თქვენი საყვარელი სიმღერებით.
შეგიძლიათ მოიწონოთ ან არ მოიწონოთ სიმღერები საინფორმაციო-გასართობი სისტემის მუსიკის ფუნქციაში, ინტეგრირებული "ზემოთ მიმართული ცერა თითი"-ს და "ქვემოთ მიმართული ცერა თითი"-ს გამოსახულებიანი ღილაკების მეშვეობით.
ამ ფუნქციისთვის პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება: წყაროს ტიპი (USB მუსიკა, რადიო, Bluetooth მუსიკა), სიმღერის დასახელება, შემსრულებელი და ალბომი, ინფორმაცია მოწონების/არმოწონების შესახებ, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ (GPS), გარემო ჰაერის ტემპერატურა,

ავტომობილის სიჩქარე, ამინდი (თქვენი მიმდინარე ადგილმდებარეობიდან გამომდინარე) და დროის შესახებ ინფორმაცია.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით (მუხ. 6 (1) ბ) GDPR), ასევე, სერვისების მიწოდებისთვის ლეგიტიმური ინტერესების საფუძველზე (მუხ. 6 (1) ვ) GDPR).

4.2.15. მუსიკის სტრიმინგი

მუსიკის სტრიმინგის ფუნქციით შეგიძლიათ, მუსიკის სტრიმინგის გარკვეული სერვისებიდან, საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით, მუსიკა გაუშვათ პირდაპირ თქვენს ავტომობილში. ამ ფუნქციის გამოსაყენებლად გესაჭიროებათ მუსიკის სტრიმინგის პლატფორმის მოქმედი გამოწერა და ტელეფონი ჩამოტვირთული myHyundai/MY GENESIS აპლიკაციით, აქტივაციისთვის.
თქვენი ანგარიშის მუსიკის სტრიმინგის არჩეულ სერვისთან დასაკავშირებლად, ჯერ მუშავდება თქვენი სისტემაში შესვლის მონაცემები მუსიკის სტრიმინგის პლატფორმის მიერ და შემდეგ ისინი გადმოგვეცემა ჩვენ ფსევდონიმიზებული სახით, Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში შენახვამდე.
ინფორმაცია თქვენ მიერ მოძიებული და არჩეული მუსიკის კონტენტის შესახებ ავტომობილიდან გადაეცემა ჩვენს GCS ღრუბლოვან გარემოში. შემდეგ, მოთხოვნა იგზავნება მუსიკის სტრიმინგის შესაბამის პლატფორმაზე, რომელიც მუსიკის კონტენტს პირდაპირ ავტომობილში აგზავნის. ბოლოს ჩართული მუსიკალური კონტენტი დროებით ინახება ავტომობილის სისტემაში.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: მომხმარებლის ავთენტიფიკაციის მონაცემები (მაგ.: სტრიმინგის პლატფორმის ანგარიშზე შესასვლელი ფსევდონომიზებული მონაცემები, მოწყობილობის ID, მომხმარებლის ID), სერვისის შესახებ ინფორმაცია (სერვისის ავტორიზაციის კოდი, გამოწერის სტატუსი, სისტემაში შესვლის მონაცემები, მომსახურების ID, სესიის ID), ავტომობილის შესახებ ინფორმაცია (VIN კოდი ან ავტომობილის ID, ძრავის ტიპი, გაყიდვის ქვეყანა, მოდელის დასახელება, მოდელის წელი, მთავარი მოწყობილობის პლატფორმა, მთავარი მოწყობილობის მოდელი), ასევე ინფორმაცია მოთხოვნილი მუსიკის კონტენტის შესახებ (მაგ.: უნიკალური იდენტიფიკატორი, ტიპი, სახელწოდება, სათაური, შემსრულებელი, ალბომის სათაური, ჟანრი, ხანგრძლივობა, კონტენტის თარიში, URL-ები).
ავტომობილში შენახული თქვენი პლატფორმის სტრიმინგის ანგარიში დაკავშირებულია ავტომობილში თქვენს ინდივიდუალურ მომხმარებლის პროფილთან. თქვენი მომხმარებლის პროფილის წაშლა ავტომატურად გაწყვეტს პლატფორმის სტრიმინგის ანგარიშის კავშირს ავტომობილთან.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სერვისების განხორციელების მიზნით ვამუშავებთ (მუხლი 6 (1) ბ) GDPR).

4.3. მონაცემთა ანალიზი პროდუქტების გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის

HCM აგროვებს და ამუშავებს ტელემეტრიულ მონაცემებს თქვენი ავტომობილიდან ავტომობილის ექსპლუატაციის, გამოყენების, ფუნქციონირებისა და მდგომარეობის შესახებ, თავისი პროდუქტების გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით და მონაცემებს გადასცემს Hyundai/Genesis დისტრიბუტორებს, რათა მათაც შეძლონ მონაცემების დამუშავება ამ მიზნებისთვის.
გამოყენებული მონაცემები ზოგადად შემოიფარგლება ტექნიკური მონაცემებით.
ეს მონაცემები გამოიყენება ძალური აგრეგატის, ჰიბრიდული/EV ავტომობილისა და სხვა ფუნქციების გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად, რომელიც მოიცავს ABS, ABS-ის სტატუსს, ინფორმაციას საჭის თვლის შესახებ, ხელის მუხრუჭს, წევის კონტროლის (თვლების შეჭიდულობის) სისტემას, კლასტერულ ინფორმაციას, უსაფრთხოების ღვედს, აჩქარებას, ბატარეის მდგომარეობას, კარის ჩამკეტ გასაღებს, წინა ნათურას, მანიშნებელ სიგნალს, განათების სისტემას, ხელის გარეშე საბარგულის გახსნის სისტემას, სავარძლის სიმაღლეს, ლიუკს, მინასაწმენდს, ნავიგაციას (ჩართვა/გამორთვა) და მსგავს ტექნიკურ მონაცემებს ან პრობლემურ კოდებს, როგორც აღნიშნულია 4.2.4 პუნქტში.
მონაცემთა ანალიზის მეტი ეფექტურობისთვის, ჩვენ ასევე შეიძლება შევაგროვოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც იძლევა ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის საშუალებას (როგორიცაა ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), ანგარიშისა და გამოწერის მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში, და თუ გააქტიურებულია GPS ინფორმაცია). ჩვენ დავამუშავებთ ამ მონაცემებს ზემოთ აღნიშნული მიზნით და ასევე, იმისათვის, რომ მოგაწოდოთ პერსონალიზებული ინფორმაცია თქვენ მიერ ჩვენი სერვისების გამოყენების შესახებ.
თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი ამ მიზნებისთვის არის HCM-ის კანონიერი ინტერესი სერვისების გაუმჯობესებისა და ახალი პროდუქტების და სერვისების განვითარებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR; მაგ.: ტექნიკური გაუმართაობების იდენტიფიცირების, ავტომობილების მუშაობის ანალიზის ან გაუმჯობესებული პროდუქტების და მომხმარებელთა სერვისების მიწოდებისთვის).

4.4. მონაცემთა დამუშავება მსგავსი პროდუქტისა და სერვისების მარკეტინგული მიზნებისთვის

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ უშუალოდ თქვენგან და ჩვენს სერვისებზე რეგისტრაციიდან მიღებული თქვენი პერსონალური მონაცემები მსგავსი პროდუქტების ან/და სერვისების მარკეტინგისთვის (მაგ.: შეგატყობინოთ ახალი სერვისების ან Hyundai-ს სხვა მსგავსი მომსახურებების შესახებ), თუ უარს არ განაცხადებთ ასეთ გამოყენებაზე.

მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მუხ. 6 (1) ვ) GDPR (ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები, გაცნობოთ ჩვენი სერვისების შესახებ და მოვახდინოთ მათი რეკლამირება).
მონაცემების ამ მიზნით გამოყენებაზე უარის თქმა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, უფასოდ, გამოწერის გაუქმების ბმულით, რომელიც ერთვის ყველა კომუნიკაციას, ან მე-3 პუნქტში მოცემული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.

4.5. მონაცემთა დამუშავება ავტომობილის კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მიზნებისთვის

სერვისების გააქტიურების შემდეგ, თქვენი ავტომობილის ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე, ჩვენ შევაგროვებთ და დავამუშავებთ თქვენი ავტომობილის უსაფრთხოების მოვლენებთან დაკავშირებულ მონაცემებს, რათა დავრწმუნდეთ ჩვენი ავტომობილების და პროდუქტების კიბერუსაფრთხოების შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობაში.
ამ ფუნქციისთვის პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება: ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) და უსაფრთხოების მოვლენებთან დაკავშირებული მონაცემები (როგორიცაა უსაფრთხოების მოვლენის გენერირებული დროის ნიშნული და ინფორმაცია კომპონენტის/მართვის განყოფილების შესახებ, რომელმაც უსაფრთხოების მოვლენა დააფიქსირა და აღმოაჩინა).
მონაცემები შეგროვდება და შეინახება თქვენს ავტომობილში.
უჩვეულო სიგნალის გამოვლენის შემთხვევაში, მონაცემები გადაეგზავნება ჩვენს სისტემებს შემდგომი ანალიზისთვის.
ავტომობილიდან ასეთი მონაცემების უწყვეტი გადაცემა არ ხდება.
მას შემდეგ, რაც მონაცემები ჩვენს სისტემებს გადაეცემა, მონაცემები დამუშავდება და გაანალიზდება კიბერუსაფრთხოების საფრთხეებისა და დაუცველობის თავიდან აცილების მიზნით, აღმოჩენილ საფრთხეებსა და პოტენციური კიბერუსაფრთხოების შეტევებისგან დაუცველობაზე რეაგირებისა და აღმოფხვრის მიზნით, ასევე, ჩვენი ავტომობილების და პროდუქტების უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად.
რამდენადაც ასეთი დამუშავება არ არის აუცილებელი კიბერუსაფრთხოების სფეროში ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად (მუხ. 6(1) გ) GDPR), თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი ამ მიზნებისთვის არის HCM-ის კანონიერი ინტერესი, განახორციელოს ჩვენი ავტომობილების მონიტორინგი, პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის და გაუმჯობესების მიზნით (მუხ. 6 (1) ვ) GDPR).
თქვენს ავტომობილში პერიოდულად ინახება უსაფრთხოების ბოლო 100 გენერირებული მოვლენა. უსაფრთხოების ახალი მოვლენის დაფიქსირების შემთხვევაში, წაიშლება უსაფრთხოების ყველაზე ძველი მოვლენა და მასთან დაკავშირებული მონაცემები. მონაცემების შენახვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინების მე-8 პუნქტში.

5. რა წესები ვრცელდება სხვა სუბიექტების მონაცემებზე და ავტომობილის მესამე მხარისთვის მიყიდვის ან გადაცემის შემთხვევაში?

ავტომობილის სხვა პირისთვის იჯარით გადაცემისას, ან როდესაც შესაძლებელია სხვა სუბიექტის (მაგ.: სხვა მძღოლის) მონაცემების შეგროვება სერვისების გამოყენების შედეგად, თქვენ უნდა უზრუნველყოთ მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირება მონაცემების დამუშავების შესახებ, როგორც ამ დოკუმენტია აღწერილი.
ავტომობილის მესამე მხარისთვის მიყიდვის ან მუდმივად გადაცემისას, გთხოვთ, გამორთოთ სერვისი, რათა თქვენი პირადი მონაცემები არ იყოს ხელმისაწვდომი საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით (პარამეტრები – Bluelink/Genesis Connected Services – Bluelink/Genesis Connected Services-ის გამორთვა).
თუ არ გამორთავთ სერვისებს, მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მესამე მხარეებისთვის საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით.

6. ვისთან გაზიარდება ჩემი მონაცემები?

6.1. ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება

HCM-ში თქვენს პირად მონაცემებზე ნებისმიერი წვდომა შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირებით, რომლებსაც მათი ცოდნა თავიანი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად ესაჭიროებათ.
თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს ქვემოთ ჩამოთვლილ მიმღებებს და მიმღებთა კატეგორიებს, შესაბამისი მიზნებისთვის; ამ მიმღებებს შეუძლიათ მათი შემდგომი დამუშავება განსაზღვრული მიზნებისთვის:

- Hyundai-ის/Genesis-ის დისტრიბუტორები – ჩვენ ვიმოქმედებთ, როგორც ერთობლივი მაკონტროლებელი ქვეყანაში არსებულ Hyundai/Genesis-ის ავტორიზებულ დისტრიბუტორთან ერთად, შემდეგ სერვისებთან დაკავშირებით: ავტომობილის დიაგნოსტიკა (პუნქტი 4.2.4) და პროდუქტის გაუმჯობესება და განვითარება (პუნქტი 4.3), ასევე ჩვენი პროდუქტების მონიტორინგი და მათთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

ჩვენ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვისების ტექნიკური და ოპერაციული მიმწოდებლის როლში და გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ Hyundai-ის/Genesis-ის დისტრიბუტორებს.
The Hyundai-ის/Genesis-ის დისტრიბუტორი იღებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს მომხმარებელთა მომსახურებისა და ტექნიკური მხარდაჭერის, ასევე, პროდუქტის განვითარების მიზნით.

ჩვენ და Hyundai-ის/Genesis-ის დისტრიბუტორი ვდებთ შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას. მოთხოვნის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას ასეთი შეთანხმების შინაარსის შესახებ.
Hyundai-ის/Genesis-ის თითოეული დისტრიბუტორის კომპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-14 პუნქტში.

- Hyundai Motor Europe – ავტომობილის სისტემის OTA განახლებებთან დაკავშირებით ჩვენ ვიმოქმედებთ, როგორც ერთობლივი მაკონტროლებელი Hyundai Motor Europe GmbH-თან ერთად, რომლის რეგისტრაციის მისამართია: Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, გერმანია.

ჩვენ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვისების ტექნიკური და ოპერაციული მიმწოდებლის როლში და გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ Hyundai Motor Europe-ს.
Hyundai Motor Europe პასუხისმგებელია ავტომობილის სისტემის OTA განახლებების განაწილებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსა და მონიტორინგზე.
ჩვენ და Hyundai Motor Europe ვდებთ შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას. მოთხოვნის შემთხვევაში, მოგაწვდით ინფორმაციას ასეთი შეთანხმების შინაარსის შესახებ.

- სხვა კერძო მესამე მხარეები – თქვენს პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ ცალკეულ კერძო სუბიეტებს, რომლებიც გვეხმარებიან სერვისების შეთავაზებაში. მაგალითად, ჩვენ ვიყენებთ სატელეკომუნიკაციო სერვისებს.

- მონაცემთა დამმუშავებლები – თქვენს პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ ცალკეულ მესამე მხარეს, აფილირებულ თუ არააფილირებულ კომპანიებს, რომლებიც თქვენს მონაცემებს ამუშავებენ HCM-ის სახელით შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე, დამუშავების მიზნების შესაბამისად. მონაცემთა დამმუშავებლებს ეკისრებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, მხოლოდ დადგენილი მითითებების მიხედვით, განახორციელონ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები.
  - სერვისების მონაცემთა დამმუშავებელია: Hyundai Autoever Europe, Kaiserleistraße 8A, 63067 Offenbach am Main, გერმანია.
  - Hyundai/Genesis Live-ის მონაცემთა დამმუშავებელია: Hyundai Autoever Europe, Kaiserleistraße 8A, 63067 Offenbach am Main, გერმანია (მაგ.: ჰოსტინგის და მხარდაჭერისთვის ან შესაბამისი აპლიკაციების მართვისთვის).
  - ხმის ამოცნობის სერვისისთვის მონაცემთა დამმუშავებლები არიან: Cerence GmbH, Jülicher Straße 376, 52070 Aachen, გერმანია; Hyundai Autoever Europe, Kaiserleistraße 8A, 63067 Offenbach am Main, გერმანია (მაგ.: შესაბამისი აპლიკაციების მხარდაჭერის და მართვისთვის).
  - ავტომობილის სისტემის OTA განახლებების ტექნიკური განაწილების, უსაფრთხოების მოვლენების ანალიზის და განვითარების მიზნით, მონაცემთა ანალიზთან დაკაშირებული ტექნიკური პროცესების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა დამმუშავებელია Hyundai Motor Company, 12, Heolleung-ro, Seocho-gu, Seoul, კორეის რესპუბლიკა.
  - ჩვენ ვთანამშრომლობთ მონაცემთა დამმუშავებლებთან ქოლ-ცენტრის სერვისებისთვის.

ყველა ზემოაღნიშნული მონაცემთა დამმუშავებელი შეიძლება ასევე იყენებდეს ქვე-დამმუშავებლებს შესაბამისი სერვისების მიწოდებისთვის.

- ხელისუფლების ორგანოები, სასამართლოები, გარე მრჩევლები და მსგავსი მესამე მხარეები, რომლებიც საჯარო ორგანოები არიან, როგორც ეს მოითხოვება ან ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.

6.2. პერსონალური მონაცემების გაზიარება თქვენი მოთხოვნით

ჩვენ შესაძლოა თქვენი პერსონალური მონაცემები მესამე მხარეს გავუზიაროთ თქვენი მოთხოვნით, მათ შორის, ევროკავშირის მონაცემთა აქტის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ან GDPR-ის მე-20 მუხლის საფუძველზე. ამ უფლების განსახორციელებლად, იხილეთ 9 პუნქტი (რა უფლებები მაქვს და როგორ შემიძლია მათი გამოყენება?) და მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინება (https://connected-mobility.hyundai.com/data-rights-en), რომელიც უშუალოდ მართვის შესახებ მონაცემების გამოყენებასა და გაზიარებას ეხება.

7. ჩემი მონაცემები საზღვარგარეთ გადაიცემა?

ჩვენ გადავცემთ თქვენს მონაცემებს Hyundai group-ის კომპანიებს, რომლებიც განთავსებული არიან ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) ფარგლებს გარეთ, კორეის რესპუბლიკაში, მე-6 პუნქტში მითითებული მიზნებისთვის.
ევროკომისიამ დაადგინა, რომ სამხრეთ კორეა და გაერთიანებული სამეფო იმ იურისდიქციებს შორისაა, რომლებიც პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატურ დონეს უზრუნველყოფენ.

თქვენი პერსონალური მონაცემების ზოგიერთი სხვა მიმღები შეიძლება მდებარეობდეს ან საქმიანობას ეწეოდეს თქვენი ქვეყნისა და ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) ფარგლებს გარეთ, მაგ.: ამერიკის შეერთებულ შტატებში (მაგ.: Cerence-ის ქვედამმუშავებლები), სადაც მონაცემთა დაცვის კანონები, შესაძლოა, თქვენი იურისდიქციის კანონებთან შედარებით, დაცვის განსხვავებულ დონეს ითვალისწინებდეს და მათთვის ევროკომისიის გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ არ არსებობდეს.
რაც შეეხება ამ მიმღებებისთვის მონაცემთა გადაცემას ევროკავშირის / ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) ფარგლებს გარეთ, ჩვენ უზრუნველვყოფთ შესაბამის გარანტიებს, კერძოდ, მიმღებებთან მონაცემთა გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებას, რომლებიც ევროკომისიის მიერ მიღებულ სტანდარტულ დებულებებს ან მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის უზრუნველსაყოფად სხვა ზომების მიღებას ითვალისწინებს.
ჩვენ მიერ მიღებული შესაბამისი ზომების ასლის მიღება შესაძლებელია HCM-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერთან (იხილეთ პუნქტი 3, ზემოთ).

8. რა ვადით ინახება ჩემი მონაცემები?

თქვენი პერსონალური მონაცემები ინახება HCM-ის ან/და ჩვენი სერვისის პროვაიდერების მიერ, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ჩვენი ვალდებულებების შესასრულებლად არის აუცილებელი, და მხოლოდ იმ დროით, რაც საჭიროა იმ მიზნების მისაღწევად, რომლისთვისაც პერსონალური მონაცემები გროვდება, მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
თქვენი ანგარიშის შეწყვეტის შემდეგ, თქვენი პერსონალური მონაცემები არცერთ შემთხვევაში არ შეინახება.
როდესაც აღარ დაგვჭირდება თქვენი პერსონალური მონაცემები, მათ წავშლით ჩვენი სისტემებიდან ან/და ჩანაწერებიდან ან/და მივიღებთ ზომებს მათი სათანადო ანონიმიზაციისთვის, რათა თქვენი იდენტიფიცირება შეუძლებელი იყოს (თუ ჩვენ არ გვევალება თქვენი მონაცემების შენახვა იმ სამართლებრივი ან მარეგულირებელი ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებსაც ვექვემდებარებით; მაგალითად, პერსონალურ მონაცემებზე, რომლებსაც ხელშეკრულებები, შეტყობინებები და საქმიანი მიმოწერები შეიცავს, შეიძლება გავრცელდეს შენახვასთან დაკავშირებული კანონით დადგენილი მოთხოვნები 10 წლამდე ვადით).
განსაზღვრულია შენახვის პერიოდები ინფორმაციის შემდეგი ერთეულებისთვის:

- ხმის ამოცნობა: ხმის ნიმუშები და GPS კოორდინატები (იხ. პუნქტი 4.2.3 ზემოთ) ინახება 90 დღემდე.
- Hyundai/Genesis Live: გეოლოკაციის მონაცემები (GPS კოორდინატები) და მომსახურების ID (იხ. პუნქტი 4.2.2 ზემოთ) ინახება 93 დღემდე.
- ჩემი მგზავრობები: ინფორმაცია თქვენი ავტომობილის გამოყენების შესახებ ფუნქციაში "ჩემი მგზავრობები" ხელმისაწვდომია 90 დღემდე.

ანგარიშის შეწყვეტა: თუ გადაწყვეტთ თქვენი ანგარიშის შეწყვეტას (მაგ.: ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში შესაბამისი პარამეტრების არჩევის გზით), ყველა პერსონალური მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია თქვენს ანგარიშთან, წაიშლება, თუ მათზე არ ვრცელდება შენახვის პერიოდები (იხ. ზემოთ).

9. რა უფლებები მაქვს და როგორ შემიძლია მათი გამოყენება?

თუ თანხმობა განაცხადეთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, შეგიძლიათ ეს თანხმობა ნებისმიერ დროს გააუქმოთ, რაც გავრცელდება მომავალში მონაცემების დამუშავებაზე.
ასეთი გაუქმება გავლენას არ იქონიებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე, რომელიც თანხმობის გაუქმებამდე ხორციელდებოდა.
მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, გაქვთ შემდეგი უფლებები.
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მონაცემთა დაცვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით.

- **წვდომის უფლება**: თქვენ გაქვთ უფლება, ჩვენგან მიიღოთ დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები და ასეთის შემთხვევაში, მოითხოვოთ წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე.

ეს ინფორმაცია, *inter alia (სხვათა შორის)*, მოიცავს დამუშავების იმ მიზნებს, პერსონალური მონაცემების კატეგორიებს, ასევე მიმღებებს ან მიმღებთა კატეგორიებს, რომლებსაც პერსონალური მონაცემები მიეწოდებოდათ, ან მომავალში მიეწოდებათ.
თუმცა, ეს არ არის აბსოლუტური უფლება და სხვა პირთა ინტერესებმა შეიძლება შეზღუდოს თქვენი უფლება წვდომაზე.
თქვენ ასევე უფლება გაქვთ, მიიღოთ თქვენი დამუშავებული პერსონალური მონაცემების ასლი.
თქვენ მიერ მოთხოვნილი დამატებითი ასლებისთვის, ადმინისტრაციული ხარჯებიდან გამომდინარე, შეიძლება დავაწესოთ გონივრული გადასახადი.

- **შესწორების უფლება**: თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ თქვენთან დაკავშირებული ნებისმიერი არაზუსტი პერსონალური მონაცემის დაზუსტება.

დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე, თქვენ გაქვთ უფლება, განაახლოთ არასრული პერსონალური მონაცემები, მათ შორის, დამატებითი განაცხადის წარდგენის გზით.

- **<u>წაშლის უფლება („დავიწყების უფლება“)</u>**: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა და ჩვენ შეიძლება დაგვეკისროს მათი წაშლის ვალდებულება.

- **<u>დამუშავების შეზღუდვის უფლება</u>**: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ გაქვთ უფლება, დააწესოთ შეზღუდვა თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. ამ შემთხვევაში, მოინიშნება შესაბამისი მონაცემები და ჩვენ შეიძლება დავამუშავოთ ისინი მხოლოდ გარკვეული მიზნებისთვის.

- **<u>მონაცემთა გადატანის უფლება</u>**: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ შეიძლება ისარგებლოთ უფლებით, მიიღოთ ჩვენთვის მოწოდებული პერსონალური მონაცემების ასლი სტრუქტურირებულ, საყოველთაოდ გამოყენებად და მოწყობილობის მიერ წაკითხვად ფორმატში. თქვენ გაქვთ უფლება, ჩვენი მხრიდან ხელშეშლის გარეშე, სხვა სუბიექტს გადასცეთ ეს მონაცემები ან მოითხოვოთ უშუალოდ ჩვენ მიერ მათი გადაცემა.

- **<u>გაპროტესტების უფლება</u>**: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ გაქვთ უფლება, კონკრეტულ ვითარებაში და ნებისმიერ დროს, გამოთქვათ პროტესტი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, ხოლო ჩვენ ვალდებული ვიქნებით, აღარ დავამუშაოთ თქვენი პერსონალური მონაცემები.

თუ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის, თქვენ გაქვთ უფლება, ნებისმიერ დროს, გააპროტესტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ასეთი მარკეტინგული მიზნებისთვის, რაც მოიცავს მომხმარებლის პარამეტრების დამუშავებას (პროფილირებას) იმ ზომით, რამდენადაც ის პირდაპირ მარკეტინგს უკავშირდება. ამ შემთხვევაში, ჩვენ აღარ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ასეთი მიზნებისთვის.

- **<u>გასაჩივრების უფლება</u>**: თქვენ ასევე გაქვთ უფლება, საჩივარი შეიტანოთ თქვენი ქვეყნის მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ ზედამხედველობით ორგანოში.

10. ვალდებული ვარ თუ არა, მივაწოდო ჩემი მონაცემები?

თქვენ არ გაქვთ კანონიერი ან ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება, მოგვაწოდოთ თქვენი პერსონალური მონაცემები.

გარდა ამისა, თქვენ არ გჭირდებათ პერსონალური მონაცემების მიწოდება ხელშეკრულების გასაფორმებლად. თუმცა, თუ არ მოგვაწოდებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, შესაძლებელია, შეგეზღუდოთ ჩვენი სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა.

11. შემიძლია თუ არა ონლაინ რეჟიმის გამორთვა (ხაზგარეშე (offline) რეჟიმი; მოდემი გამორთულია)?

თქვენ შეგიძლიათ გამორთოთ ონლაინ რეჟიმი შესაბამისი პარამეტრების დაყენების გზით.

თუ ხაზგარეშე რეჟიმი (offline mode) ჩართულია, ყველა ფუნქცია გამოირთვება და პერსონალური მონაცემები, კერძოდ, გეოლოკაციის მონაცემები (GPS კოორდინატები) აღარ შეგროვდება; ხაზგარეშე (offline) რეჟიმის ხატულა გამოისახება ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის ეკრანის ზედა ნაწილში.

12. როგორ შეიძლება კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების შეცვლა?

კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება შეიძლება დროდადრო შევცვალოთ ან/და მასში დამატება შევიტანოთ მომავალში.

ასეთი ცვლილებები ან/და დამატებები შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ან ახალი სერვისების განხორციელების გამო.

ცვლილებებს გამოვაქვეყნებთ ჩვენს ვებ-გვერდებზე ან/და თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში.

13. ავტორიზებული მომხმარებლის მონაცემების დამუშავება

თუ თქვენ ხართ ავტორიზებული მომხმარებელი, ეს კონფიდენციალურობის შეტყობინება გამოიყენება, <u>13</u> პუნქტში მითითებული მოსაზრებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

თქვენ ჩაითვლებით ავტორიზებულ მომხმარებლად, თუ არ გაქვთ ქონებრივი უფლება სატრანსპორტო საშუალებაზე (მაგ.: საკუთრება ან იჯარა), მაგრამ სერვისებს იყენებთ ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი სხვა მხარის („ბიზნეს მომხმარებელი“) ავტორიზაციის საფუძველზე, კერძოდ, ესენია:

- თქვენი დამსაქმებელი

- თქვენი ბიზნეს-პარტნიორი, როგორიცაა ავტომობილების გაქირავების კომპანია.

13.1. მონაცემთა მაკონტროლებელი და მონაცემთა გაზიარება

მიუხედავად იმისა, რომ ვრცელდება <u>1</u> პუნქტით გათვალისწინებული წესები („ვინ არის პასუხისმგებელი ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე?“), ავტომობილის მონაცემების გამოყენებით გენერირებული ზოგიერთი მონაცემი, მათ შორის, მონაცემები მდებარეობის და მგზავრობის შესახებ, მარშრუტები, ავტომობილის გამოყენება და საწვავის/ენერგიის მოხმარება, ინფორმაცია გარანტიის შესახებ და ა.შ., რომელიც ბიზნეს მომხმარებელთან თქვენი ურთიერთობიდან და ბიზნეს მომხმარებლის მიერ ავტომობილზე დაყენებული პარამეტრებიდან გამომდინარეობს, ასევე ხელმისაწვდომია ბიზნეს მომხმარებლისთვის,

რომელიც ასეთი მონაცემების ცალკე (დამოუკიდებელ) მონაცემთა მაკონტროლებელს წარმოადგენს, ბიზნეს მომხმარებლის მიერ განსაზღვრული მიზნებისთვის და ჩვენსა და ბიზნეს მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
ბიზნეს მომხმარებელი სრულად არის პასუხისმგებელი მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის, მათ შორის, GDPR-ის დაცვაზე, ბიზნეს მომხმარებლის მიერ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

13.2. Hyundai Connected Mobility-ის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება

თუ ავტორიზებულმა მომხმარებელმა არ დაადასტურა Bluelink-ის და OneApp-ის გამოყენების პირობები და ეს შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ, ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გავრცელდება კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების 4 პუნქტი, შემდეგი ცვლილებებით:

ა) ქვემოთ მოცემული "ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, 4.2 პუნქტში აღწერილ სერვისებთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩვენი კანონიერი ინტერესი, რაც მოიცავს ხელშეკრულების პირობების შესრულებას ბიზნეს მომხმარებელთან, რომელიც ფლობს ან სხვაგვარად გააჩნია ავტომობილის საკუთრების უფლება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებლის გამოცდილების ზოგადად გაუმჯობესებას.

ბ) ავტომობილის დიაგნოსტიკის სერვისებთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველია ასევე ჩვენი სამართლებრივი ვალდებულება (მუხ. 6 (1) გ) GDPR), განვახორციელოთ პროდუქტების მონიტორინგი და უზრუნველვყოთ პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

13.3. პერსონალური მონაცემების დამუშავება ბიზნეს მომხმარებლის მიერ

ბიზნეს მომხმარებელი ვალდებულია, მოგაწოდოთ ინფორმაცია მონაცემების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, კერძოდ, ბიზნეს მომხმარებლის მიერ მონაცემების დამუშავების მიზნების, კანონიერი საფუძვლისა და დამუშავების ხანგრძლივობის შესახებ.
მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში დაუკავშირდით ბიზნეს მომხმარებელს.
ზემოაღნიშნული არ გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, დავიცვათ მონაცემთა შესახებ კანონმდებლობა ჩვენ მიერ განხორციელებულ დამუშავებასთან დაკავშირებით.

13.4. ავტორიზებული მომხმარებლის უფლებები

GDPR-ის შესაბამისად, თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის, უფლებები უცვლელი რჩება. თუ თქვენ მოითხოვთ მონაცემების შესწორებას, წაშლას ან შეზღუდვას, შესაძლოა, დაგვჭირდეს ბიზნეს მომხმარებლისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა.
ამის სამართლებრივი საფუძველია ჩვენი კანონით გათვალისწინებული ვალდებულება (GDPR-ის მე-19 მუხლი) ან ჩვენი კანონიერი ინტერესი, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულებას ბიზნეს მომხმარებელთან, რომელსაც ეკუთვნის ან სხვაგვარად აქვს სატრანსპორტო საშუალების საკუთრების უფლება.
ამის მიუხედავად, ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ბიზნეს მომხმარებლის მიერ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვაზე.

14. დანართი: Hyundai-ის/Genesis-ის ავტორიზებული დისტრიბუტორების სია

ავსტრია
Hyundai ImportGesellschaft m.b.H.
Richard StraussStraße 14
1230 Vienna
Austria
კომერციული რეესტრის ნომერი: 47654f

ბელგია
NV Korean Motor Company SA
Pierstraat 229
2550 Kontich
Belgium
კომერციული რეესტრის ნომერი: BE0404273333

ბოსნია და ჰერცეგოვინა
Hyundai-Auto BH d.o.o.
Branilaca Šipa 4C
71000 Sarajevo
Bosnia and Herzegovina
კომერციული რეესტრის ნომერი: 65-01-0799-09

ბულგარეთი
Industrial Commerce Ltd
1797 Sofia
260 Ring Road
Bulgaria
კომერციული რეესტრის ნომერი: 204502867
კანარის კუნძულები
HYUNDAI CANARIAS, S.L.U.
C/ Lomo la Plana, 16
35.019. Las Palmas de Gran Canaria
Las Palmas
კომერციული რეესტრის ნომერი: B76156504
ხორვატია
Hyundai Hrvatska d.o.o.
Ljubljanskaavenija 4C
10090 Jankomir
Grad Zagreb
Croatia
კომერციული რეესტრის ნომერი: HRSR.080961241
კვიპროსი
CTC Automotive Ltd
Shacolas EmporiumPark-Annex 4, 4 Verginas Street
2030 Nicosia
Cyprus
კომერციული რეესტრის ნომერი: HE145360
ჩეხეთის რესპუბლიკა
Hyundai Motor Czech s.r.o.
Siemensova 2717/4
155 00 Praha 5
Czech Republic
კომერციული რეესტრის ნომერი: 28399757
დანია
Hyundai Bil Import A/S
Korsvej 1
6000 Kolding
Denmark
კომერციული რეესტრის ნომერი: 14790993
ფინეთი
Hyundai Motor Finland OY
Kellokukantie 2
01300 Vantaa
Finland
კომერციული რეესტრის ნომერი: FI16337337
საფრანგეთი
Hyundai Motor France
Tour Nova – 71 BoulevardNational
92250 La Garenne-Colombes
France
კომერციული რეესტრის ნომერი: 411 394 893
გერმანია (Hyundai)
Hyundai Motor Deutschland GmbH
Kaiserleipromenade5
63067 Offenbach
Germany
კომერციული რეესტრის ნომერი: HRB 47293
გერმანია (Genesis)
Genesis Motor Deutschland GmbH
Strahlenbergerstraße 110-112
63067 Offenbach am Main

საბერძნეთი
HyundaiHellas S.A.
31,Viltanioti Street
14564Kifissia
Greece
კომერციული რეესტრის ნომერი: 659601000
უნგრეთი
Hyundai Holding Hungary Kft
Cziffra György út 15
1182 Budapest
Hungary
კომერციული რეესტრის ნომერი: 01-09-881438
ისლანდია
BL ehf
Kauptúni 1
210 Garðabær
Iceland
კომერციული რეესტრის ნომერი: 630211-0500
ირლანდია
Hyundai Cars Ireland Limited
JFK Drive, Naas Road
Dublin, 12
Ireland
კომერციული რეესტრის ნომერი: 211878
იტალია
Hyundai Motor Company ItalyS.r.l.
Via Giovanni Bensi 11
20152, Milano
Italy
კომერციული რეესტრის ნომერი: MI-1883965
მალტა
Meridian Enterprises Co.Ltd.
Pater House
168 Psaila Street
Birkirkara BKR 9077
Malta
კომერციული რეესტრის ნომერი: C3988
მოლდოვა
Pacific Motors SRL
Chisinau str. Calea Mosilor5/1
Moldova
კომერციული რეესტრის ნომერი: 1014600041393
ნიდერლანდები
Hyundai Motor Netherlandsb.v.
Hub van Doorneweg14
2171 KZSassenheim
The Netherlands
კომერციული რეესტრის ნომერი: 61506230
ნორვეგია
Hyundai Motor Norway AS
Alf Bjerckes vei 8
0582 Oslo
Norway
კომერციული რეესტრის ნომერი: 914 315 816
პოლონეთი
Hyundai Motor Poland Sp. Z o.o.
ul. Woloska 24
02-675 Warszawa

Poland
კომერციული რეესტრის ნომერი: 0000067315
რუმინეთი
Hyundai Auto Romania
Bd. Expozitiei, nr. 2,showroom Hyundai
etaj 1, sector 1, Bucuresti
Romania
კომერციული რეესტრის ნომერი: J40/15805/1994
სერბეთი
Hyundai Srbija d.o.o.Beograd
MilutinaMilankovića 7V
11070 NoviBeograd
Serbia
კომერციული რეესტრის ნომერი: 21114804
სლოვაკეთი
Hyundai Motor Czech s.r.o.,organizačná zložka Slovaki
Galvaniho 17/A
821 04 Bratislava
Slovak Republic
კომერციული რეესტრის ნომერი: 1610/B
სლოვენია
Hyundai Avto Trade d.o.o.Ljubljana
Brnčičeva 45
1231 Ljubljana – Črnuče
Slovenia
კომერციული რეესტრის ნომერი: 5526485
ესპანეთი
Hyundai Motor España S.L.U.
Calle Quintanapalla 2
28050 Madrid
Spain
კომერციული რეესტრის ნომერი: B85754646
შვედეთი
Hyundai Motor Sweden AB
Hyllie Stationsväg 42
215 32 Malmö
Sweden
კომერციული რეესტრის ნომერი: 559441-2529
შვეიცარია (Hyundai)
ASTARA MOBILITYSWITZERLAND AG
Brandbachstrasse6
CH-8305 Dietlikon
Switzerland
კომერციული რეესტრის ნომერი: CHE-262.166.165
შვეიცარია (Genesis)
Genesis Motor Schweiz AG
Bahnhofstrasse 6
8001 Zurich
Switzerland
გაერთიანებული სამეფო (Hyundai)
Hyundai Motor UK Limited
Ground Floor Birchwood Building Springfield Drive
Leatherhead Surrey KT22 7LP
United Kingdom
კომერციული რეესტრის ნომერი: 05446560
გაერთიანებული სამეფო (Genesis)
Genesis Motor UK Ltd
Birchwood Building Springfield Drive, Leatherhead, Surrey, United Kingdom

KT22 7LP
United Kingdom
უკრაინა
Hyundai Motor Ukraine LLC
1A Novokonstantynivska Str.,
04080 Kyiv
Ukraine
კომერციული რეესტრის ნომერი: 33261252